MES 5 20 0000828938

14/09/2020

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ.თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **დავით მალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გიორგი გიგიბერია -** ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნატალია შანიძე -** შპს „ათასწლეულის სკოლის“ მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი - საბჭოს მდივანი;
4. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე;
5. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
6. **ავთანდილ აბდუშელიშვილი -** შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;
7. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;
8. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის - თბილისის“ აკადემიური დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;
9. **გრიგოლ მურღულია** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე;
10. **ირმა ბარბაქაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა

დირექტორი - მერაბ ჭოხონელიძე

შპს ქართულ - ებრაული სკოლა - ორ ავნერ და ჰანა

აკადემიური დირექტორი - სალომე ფილფანი
იურისტი - თათია ზარქუა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ცაგერის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია

დირექტორის მოადგილე - ნათია მიქაძე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთ განმანათლებ ლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზია

დირექტორი - მიტრიპოლიტი ანტონი (მარკოზ) ბულუხია
დირექტორის მოადგილე - ილია სალუქვაძე

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა
ლევან ღურწკაია
ინგა ლომაძე

შპს ქართულ - ებრაული სკოლა - ორ ავნერ და ჰანა
მაია ინასარიძე
მარიამ ხუციშვილი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ცაგერის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია
მიხეილ ტეფნაძე
თეა გაბელაია

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებ ლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზია
დავით ლიპარტელიანი
ლია გრიგოლია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით

მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში.
სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით) 2020 წლის 31 აგვისტოს 15:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთ განმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ - ებრაული სკოლის - ორ ავნერ და ჰანას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ცაგერის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა იქნა წარდგენილი ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთ განმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის წამომადგენლის მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ გიმნაზიის საკითხის განხილვა რიგით იყო პირველი და გიმნაზიის დირექტორი ვერ ჩაერთვებოდა, შუამდგომლობა იქნა წარმოდგენილი აღნიშნული საკითხი განხილულიყო ბოლო საკითხად. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ - ებრაული სკოლის - ორ ავნერ და ჰანას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ცაგერის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთ განმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობი ს გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლევან ღურწკაიამ და ინგა ლომაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტის განცხადებით, შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში ბუხაიძის ქ. N 9 მდებარე 1842.00 კვ. მ. შემოღობილ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც გაშენებული იყო N 1 სამსართულიანი და N 2 ექვსსართულიანი შენობა, N 1 სამსართულიანი შენობის ფართი 2018 წლის 14 აგვისტოს ამონაწერის მიხედვით შეადგენდა 1780.64 კვ. მ, ხოლო N 2 ექვსსართულიანი შენობის ფართი 2018 წლის 14 აგვისტოს ამონაწერის მიხედვით შეადგენდა 1523.92 კვ. მ.

ექსპერტის განმარტებით, N2 ექვსსართულიანი შენობის პირველ სართულზე განხორციელებული ცვლილებები ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას არ იყო ასახული აზომვით ნახაზებში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორმა მიმართა ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურს, ასევე მერიას წერილობით და უმოკლეს ვადაში წარმოადგენდა დასკვნასაც.

ექსპერტთა განცხადებით, ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა სკოლაში არ ახდენდა ზეგავლენას მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე.

1.2. ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის ეზოში მდგარ მეორე ექვსსართულიანი შენობის მეხუთე სართულზე მოწყობილ სპორტულ დარბაზზე, მისი თქმით, დარბაზი იყო იდეალურ მდგომარეობაში.

ექსპერტის განცხადებით, სპორტულ დარბაზში შეღწევა შშმ პირს ძალიან გაუჭირდებოდა, რადგან სპორტული დარბაზი იყო განთავსებული მეხუთე სართულზე. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შშმ პირისთვის დამატებით ფიზიკური დატვირთვისთვის შერჩეულიყო ისეთი სპორტის სახეობები, რომლის განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა სკოლის შენობის პირველ სართულზე.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის სველ წერტილებთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, დაწესებულების ორივე შენობაში მოწყობილი იყო სველი წერტილები გოგონების, ვაჟებისა და დასაქმებული პირებისათვის, ორივე შენობაში განთავსებული იყო წყლის მიწოდების სიტემით

უზრუნველყოფილი 19 წერტილი რომელთაგანაც 1 იყო ადაპტირებული შშმ მოსწავლეზე. ექსპერტმა აღნიშნა რომ შშმ პირზე ადაპტირებული სველი წერტილი განთავსებული იყო N2 ექვსსართულიანი შენობის მეორე სართულზე.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სველ წერტილებთან დაკავშირებული ეს ხარვეზი გამოსწორებულ იქნა და ფოტო-მასალა გადმოგზავნილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

ექსპერტის განმარტებით, სკოლის შენობის მეორე სართულზე განთავსებული იყო „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N672 ბრძანების შესაბამისი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის) ლაბორატორიები. ფიზიკის, ქიმია და ბიოლოგიის ლაბორატორიას ეთმობოდა ერთი ოთახი, ლაბორატორიის ინვენტარი განთავსებული იყო დახურულ კარადებში, ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყო ერთი სველი ნიჟარა ონკანით.

ექსპერტთა განმარტებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია ქიმიის ლაბორატორია განცალკევებულიყო და სათანადო აღჭურვილობა დამონტაჟებულიყო, აგრეთვე, ყველა ლაბორატორიები (ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის) გადაეტანათ სკოლის პირველ სართულზე, რადგან ადვილად ყოფილიყო მისაწვდომი შშმ პირებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 900 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია იყო ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900 - ით განსაზღვრის საკითხი. საბჭომ ასევე დასძინა, რომ შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო **2020 წლის 31 აგვისტოდან.**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მეშვიდე პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს მერაბჭოხონელიძის საავტორო სკოლას (ს/კ: 412725573), მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900 მოსწავლით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს **2020 წლის 31 აგვისტოდან.**

ამასთან, საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა 2 თვე ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებების გათვალისწინების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

2. შპს ქართულ-ებრაული სკოლის - ორ ავნერ და ჰანას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაია ინასარიძემ და მარიამ ხუციშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1.ექპერტმა საუბარი დაიწყო დაწესებულების მატერიალური რესურსების შესახებ. მისი თქმით, დაწესებულებას ჰქონდა ახლად აშენებული, კარგად გარემონტებული 2179.0 კვ.მ ფართობის სამსართულიანი შენობა, სკოლას ჰქონდა კარგად მოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურა, რომელიც სრულად შეესაბამებოდა ორგანიზაციის მისიასა და სასწავლო გეგმას.

ექსპერტის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავდა შშმ და სსსმ მოსწავლეები, დაწესებულებაში შექმნილი იყო ადაპტირებული გარემო ასეთი პირებისათვის. კერძოდ, ადაპტირებული სველი წერტილები ყველა სართულზე და ლიფტი. ექსპერტის განცხადებით, სკოლის შენობის ნებისმიერი წერტილი ადვილად მისაწვდომი იყო შშმ პირთათვის, რადგან გზის, სკოლისა და ეზოს ზედაპირი ერთ სიბრტყეზე იყო, სართულებზე მოძრაობა კი შესაძლებელი იყო ლიფტით, ამიტომ პანდუსები საჭიროებას არ წარმოადგენდა.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის უსაფრთხო გარემოზე. მისი თქმით, დაწესებულების ყველა სართულზე განლაგებული იყო ხანძარსაწინაღმდეგო ინვენტარი (6 სახანძრო ყუთი, 7 ცეცხლმაქრი) და გამოკრული ევაკუაციის გეგმა, სკოლას შ.პ.ს. „რუმლაინისგან“ შეძენილი ჰქონდა სახანძრო კიბე, საკლასო ოთახებსა და დერეფნებში დამონტაჟებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორები და ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემა.

2.2. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში იყო დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, სკოლაში მოქმედებდა მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი მშობლის ინფორმირების, სკოლაში ვიზიტის, მასწავლებლისა და დამრიგებლის ვალდებულებების წესები და ინსტრუქციები, სკოლაში მოქმედებდა მშობელთა კომიტეტი,

რომლის ფარგლებშიც მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართულები სკოლის ცხოვრებაში. ექსპერტის განმარტებით, სკოლა აქტიურად იყო ჩართული როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ ოლიმპიადებში, ასევე ქვეყნის გარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

ექსპერტის განცხადებით, მშობლებმა ინტერვიუს დროს გამოხატეს კმაყოფილება დაცული უსაფრთხო, კეთილგანწყობილი გარემოსა და მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურების გამო.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 140 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ქართულ - ებრაული სკოლის - ორ ავნერ და ჰანას შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ - ებრაული სკოლის - ორ ავნერ და ჰანას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140 - ით განსაზღვრის საკითხი. საბჭომ ასევე დასძინა, შპს ქართულ - ებრაული სკოლის - ორ ავნერ და ჰანას გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო **2020 წლის 31 აგვისტოდან.**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ - ებრაული სკოლის - ორ ავნერ და ჰანას (ს/კ: 205195457), მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140 მოსწავლით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს **2020 წლის 31 აგვისტოდან.**

3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ცაგერის წმ.ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ავტორ იზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და თეა გაბელაიამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტმა საუბარი დაიწყო პროგრამული ნაწილის შესახებ. მისი განმარტებით, გიმნაზიის მოსწავლეები I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში ფასდებოდნენ განმავითარებელი შეფასებით, ხოლო V კლასის მეორე სემესტრიდან XII კლასის მეორე სემესტრის ჩათვლით ფასდებოდნენ ხუთ დონეზე გაწერილი ათქულიანი შეფასების სისტემით ყველა საგანში (გარდა ფიზიკური აღზრდა და სპორტი, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება და არჩევითი საგნები). ექსპერტის თქმით, აღნიშნულ საგნებში გიმნაზიას წარმოდგენილი 2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით განსაზღვრული ჰქონდა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის წლიური გამოცდის ჩატარება.

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა ერთმანეთს შეადარა 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის წლიური გამოცდისა და 2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის წლიური გამოცდის ნაწილები, ორივე დოკუმენტის შინაარსი იდენტური იყო. ექსპერტთა ჯგუფმა გიმნაზიის ადმინისტრაციას მისცა რეკომენდაცია ან ემოქმედათ ეროვნული სასწავლო გეგმის 36-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ან არსებული ჩანაწერის შინაარსი შეეთანხმებინათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.

3.2. ექსპერტის განცხადებით, ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიას ჰქონდა გაკეთებული მიშენება, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ექსპერტის განმარტებით, მიშენების მეპატრონე იყო საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია. ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა, გიმნაზიას გაუწია რეკომენდაცია აღნიშნული მიშენების ფართი საკუთრებაში გადმოცემოდა გიმნაზიას.

გიმნაზიის დირექტორის მოადგილის განმარტებით, თხოვების ხელშეკრულება მომზადებული იყო იუსტიციის სახლში და 4 დღის ვადაში გადაეცემოდათ ზემოაღნიშნული დოკუმენტი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 120 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ცაგერის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ცაგერის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი. საბჭომ ასევე დასძინა, რომ ავტორიზაციის უწყვეტობის მიზნითა და მოსწავლეთა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ცაგერის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო **2020 წლის 31 აგვისტოდან.**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ცაგერის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიას (ს/კ: 242576636) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს **2020 წლის 31 აგვისტოდან.**

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლ ებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, დავით ლიპარტელიანმა და ლია გრიგოლიამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1. ექსპერტმა საუბარი დაიწყო გიმნაზიის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებზე. ექსპერტის თქმით, გიმნაზიაში ფუნქციონირებდა არაფორმალური განათლების კლუბი „სურიონი“, რომელიც თანამშრომლობდა განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრთან (CDD), კლუბში გაწევრიანებულები იყვნენ არამარტო გიმნაზიის, არამედ ვანის სხვა სკოლების მოსწავლეებიც.

ექსპერტის განმარტებით, კლუბს გამოყოფილი ჰქონდა ცალკე მდგომ შენობაში არსებული სივრცე, რომელიც რამდენიმე თვის წინ სრულიად გარემონტდა. ბიბლიოთეკაში იყო შთაბეჭდილებების წიგნი, სადაც მოსწავლეები წერდნენ წაკითხული წიგნის შესახებ საკუთარ

შთაბეჭდილებებს. ექსპერტის თქმით, აღნიშნული ხელმისაწვდომი იყო ყველა მოსწავლისათვის, რაც ზრდიდა მათი დაინტერესების შესაძლებლობას.

ექსპერტი შეეხო წინა ვიზიტის პერიოდში გაცემულ რეკომენდაციებს, რომელიც ეხებოდა გიმნაზიის სველ წერტილებსა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესს.

ექსპერტის განმარტებით, გიმნაზიამ სრულად და მაღალხარისხიანად მოაწყო სველი წერტილები, ხოლო „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სამინისტროსა და გიმნაზიას შორის მიმდინარეობდა შეთანხმების პროცესი, თუმცა დასრულებული არ იყო. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დროულად გამოსწორებულიყო ზემოაღნიშნული.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 234 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთ განმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთ განმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 234 - ით განსაზღვრის საკითხი. საბჭომ ასევე დასძინა, რომ ავტორიზაციის უწყვეტობის მიზნითა და მოსწავლეთა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთ განმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო **2020 წ ლის 31 აგვისტოდან.**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთ განმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიას (ს/კ429649044) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო

საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 234 - ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს **2020 წლის 31 აგვისტოდან.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად სხდომა 16:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შანიძე ნატალია